

თბილისში მცხოვრები მამაკაცების მასკულიზობის იდეალების შესწავლა

თამარ სიხარულიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს და არ შეიცავს სხვა ავტორთა მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

თამარ სიხარულიძე

თ. სიხარულიძე

28. 06. 2020

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია თბილისში მცხოვრები მამაკაცების მასკულინობის იდეალები. გამოვლენილია ორი სხვადასხვა თაობის მასკულინური ქცევის ნორმები და სოციალური თვისებები, რაც საშუალებას გვაძლევს მათ კატეგორიზაციას მასკულინობის ტიპებში. ნაშრომის ძირითად თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს კონელის მასკულინობის ტიპების კატეგორიზაცია. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიამ საშუალება მომცა სიღრმისეულად შემესწავლა საკვლევი თემის ირგვლივ არსებული საკითხები. კვლევის ფარგლებში გამოვკვეთე თაობებს შორის არსებული განსხვავებული შეხედულებები მათი იდეალების შესახებ და პასუხი გავეცი კვლევის ერთ-ერთ მთავარ კითხვას: მასკულინობის რომელი ტიპი იკავებს ავტორიტეტულ პოზიციებს ქართულ მასკულინობებში.

შუა ხნის მამაკაცებისთვის იდეალი მამაკაცია - მამა, ხოლო ახალგაზრდებისთვის ყოველი მამაკაცი, მათ შორის გამოგონილი პერსონაჟები, რომელთა სხეულის ხატი, გარეგნული მახასიათებლები, განათლების ხარისხი მისაზამია მათთვის. ასაკის მატებასთან ერთად მათი იდეალები არ იცვლება. ქართველი მამაკაცის მიერ წარმოდგენილ იდეალ მამაკაცთა რიგებში არ ხვდებიან ჰომოსექსუალი მამაკაცები. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა მამაკაცები ნაკლებად უჭერენ მხარს მამაკაცურობის დაწინაურებულ ტიპს - ჰეგემონურ მასკულინობას.

შუა ხნის მამაკაცები არ საუბრობენ კაცების წინაშე არსებულ ნორმატიულ ჩარჩოებზე, ახალგაზრდები კი ღიად საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე, მათ შორის შიშზე, სირცხვილის განცდაზე, სექსუალურ გამოცდილებებსა და მომავალზე, სადაც აუცილებლად გვხვდება „მამაკაცის თვალეში“, პარტნიორი და ოჯახი.

ქართველი მამაკაცები არ გვთავაზობენ მასკულინობის ერთ კონკრეტულ ტიპს. ახალგაზრდა თაობის სოციალურ წრეში არ არსებობს მხოლოდ ერთი სწორი „მამაკაცური ფორმა“. ისინი გამოირჩევიან მეტი შემწყნარებლობით უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ.

## Abstract

The present study discusses the ideals of masculinity of men living in Tbilisi. The norms and social characteristics of two different generations of masculine behavior have been identified, which allows us to categorize them into types of masculinity. The main theoretical framework of the paper is the categorization of Connel's masculinity types. Qualitative research methodology has allowed me to study in depth the issues surrounding the research topic. In the course of the research, I expressed different views on their ideals between the generations and answered one of the main questions of the research: which type of masculinity occupies the authoritative positions in Georgian masculinities.

The ideal man for middle-aged men is the father, and for young men, every man, including fictional characters whose body image, appearance, quality of education are role models for them. Their ideals do not change with age. Homosexual men are not among the ideal men represented by Georgian men. At the same time, it is noteworthy that young men are less likely to support the advanced type of masculinity - hegemonic masculinity.

Middle-aged men don't talk about the normative frameworks in front of men, while young people talk openly about their problems, including fear, shame, sexual experiences and the future, where we will definitely find "brother's eyes", partner and family.

Georgian men don't offer one specific type of masculinity. There is not a single correct "masculine form" in the social circle of the younger generation. They are more tolerant of minorities.